წელიწადი მეორე

Deuxième année.

ახალი საქართველო

PARIS, 15 Novembre 1925
N° 14

Bi-mensuel Géorgien " LA GÉORGIE NOUVELLE, — Directeur-Éditeur : G. Veshapely
ორკვირეული ორგანო გრიგოლ ვეშაპელის რედაქციით.

პარიზი
15 ნოემბერი 1925 წელი

Adresse : Boîte Postale N° 7, PARIS-XII | Annonces : 10 frs la ligne | Abonnement : 20 frs pour 6 mois (Pour l'Étranger ... 100 francs) | Prix du Numéro Étranger : 5 frs, France : 1 fr.

გაზეთ «ახალი საქართველოს» ცალკე ნომრის მიღება გასაცნობად შეიძლება უფასოდ.საკმარისია მისამართის შეტყობინება.

გაზეთი "ახალი საქართველო"
1 ნოემბრიდან გამოდის
ორკვირაში ერთხელ

რედაქტორის ნახვა პირადათ შეიძლება სტამბაში
შეხვედრის წინდაწინ
დანიშვნით წერილობით, შემდეგი მისამართით.
Boîte Postale N° 7, Paris XII

L'Anniversaire de la Reconnaissance de l'Union Soviétique

Voici quelques extraits des toasts échangés au diner offert par le chargé d'affaires soviétique, entre M. de Monzie, ministre des travaux publics, président de la commission des affaires russes, et M. Rakowsky, le nouvel ambassadeur de l'U. R. S. S.

M. Rakowsky s'est exprimé en ces termes :

« Je considère de mon premier devoir de rendre un hommage sincère aux ouvriers de la première heure qui, au milieu de la méfiance générale, ont eu le courage de proclamer la nécessité d'un rapprochement entre les deux pays et l'énergie persévérante de travailler au premier acte de ce rapprochement : le rétablissement des rapports diplomatiques.

G. RAKOWSKY.

Également, je constate que, dans l'opinion publique de tous les pays, s'est considérablement fortifiée l'idée qu'on ne peut pas songer à la pacification de l'Europe et du monde si l'Union des Soviets continue à être tenue à l'écart de la solution des grands problèmes internationaux. Les tout derniers événements de la politique internationale ont fait encore mieux ressortir cette vérité

De notre côté, nous déclarons que la différence d'organisation sociale et politique ne peut constituer une barrière infranchissable au rapprochement des nations et particulièrement à celui de la France avec l'Union des Soviets. Nous sommes prêts à collaborer sincèrement à toute œuvre internationale entreprise sans arrière-pensée, à cette œuvre utile et nécessaire.

Ma tâche sera de chercher à écarter les obstacles qui existent sur la voie d'un rapprochement solide et durable et de plus en plus intime entre la France et l'Union des Soviets ».

M. de Monzie, après avoir rappelé que M. Rakowsky avait « étudié la médecine à Nancy et à Montpellier, le droit à Paris, reçu sa première renommée de la presse marseillaise et de l'Université de France » et « failli devenir citoyen français et médecin de campagne en un canton du Loiret » a continué en ces termes :

« Ce que le président Herriot entrevoyait et souhaitait quand il signait le 28 octobre 1924 la dépêche reconnaissant l'existence légale du gouvernement de l'Union, c'est-à-dire un Occident pacifié organisé par la Société des nations, d'où ne seraient pas exclus les peuples de l'ancienne Russie, ce projet ou ce rêve s'est mué en un vœu précis qui apparait de jour en jour plus réalisable à mesure que se résolvent les antagonismes essentiels, à mesure que s'affirme dans une renaissance de raison l'unanimité européenne pour la paix et l'entr'aide. Les circonstances ajoutent, monsieur l'ambassadeur, aux facilités que vous tenez de votre talent et de votre expérience.

Elles doivent rendre possible le développement normal des échanges qui fut jusqu'ici paralysé par l'absence d'instruments juridiques. Mais, à la vérité, nous sommes fondés à escompter plus et mieux que des combinaisons précaires de commerce : nous nous plaisons à envisager l'ensemble des problèmes moraux et matériels dont la solution par vos soins et avec le plein concours de notre gouvernement sera la préface d'une saine réconciliation ».

პასუხად „ბრძოლას“

ნოე რამიშვილს: Tu l'as voulu, Georges Dandin!

ის რაც ბრძოლის მეოთხე ნომერშია დაბეჭდილი ჩემ შესახებ, იმისი პასუხისმგებლები არ არიან რასაკვირველია მარტო «გაკვრის» ანონიმი ან ვიღაცა ლაწირაკი ლორთქელი (რომელსაც აგვისტოს უკანა რიცხვით ოკტომბერში დააწერიეს წერილი და პარტიაც «დაატუქსვინეს»).

არც «ბრძოლი»-ს ოფიციალური რედაქტორი დათიკო მერაბიძე არის ნამდვილი პასუხისმგებელი, ისე როგორც არ იყო პასუხისმგებელი, როცა ვიტინსკის წყვილთან ერთად თბილისში რუსულ «ბრძოლას» სცემდა...

არა, ნამდვილი პასუხისმგებელნი არიან თვით ხაზეინები —რამიშვილი, ჟორდანია, ჩხენკელი, წერეთელი.

ამიტომ მოვახსენებ მათ საპასუხოდ, რაც მოსახსენებელია, გაკვრითაც და გამოკვრითაც.

«ბრძოლა» გაბრაზებულია, რატომ ითხოვენ «ვეშაპელისტები» თავიანთვის პარიზში კრებისა და პიროვნების თავისუფლებას, როცა საქართველოში ძალმომრეობა მეფობსო!

რაც შეეხება პარიზს, ამაზე უკვე გითხრათ L'Humanité-მ (20. VIII), რომ «საფრანგეთის ტერიტორიაზე ქართულ პარტიებს არ შეუძლიათ აწარმოონ ბრძოლა ძალაუფლების ხელში ჩასაგდებათ», ესე იგი ა ქ ა უ რ ი ბრძოლა უნდა იყოს მხოლოდ იდეოლოგიური.

რაც შეეხება საქართველოს, იქ ბრძოლა სწორედ ხელისუფლებისათვის სწარმოებს და თუ საბჭოთა დიქტატურა რევოლუციური მეთოდებით ებრძვის შეთქმულებას და აჯანყებას, ეს ჩვეულებრივი, საყოველთაო რისკია ამ ხელობისა.

თუ «ბრძოლა»-ს რედაქცია, ანუ რამიშვილის ბანდა, მართლაც ბ რ ძ ო ლ ი ს გუნებაზე არის, დაე წაბრძანდეს იქ, საქართველოში, და დაიკავოს ის ადგილი, რომელიც ჭკუიანად დროზე დაცალა კოწია ხულაქველიძემ.

«ძალმომრეობას» ჩივით?-როდის გახდით ასეთი გულჩვილნი და დაგავიწყდათ მარქსის ნაამბობი, რომ ისტორიის ბებია ძალა არის? როდის გახდით ტოლსტოის მიმდევარნი?

და თვით თქვენს პ რ ა ქ ტ ი კ ა შ ი როდისმე გავიწყდებოდათ განა ეს? განა დამოუკიდებელი (მხოლოდ რუსეთისაგან) მენშევიკური საქართველო თხისა და მგლის ერთად საძოვარი სამოთხე იყო?

განა «რამიშვილის არჩევნები» თავისუფალი რომ იყო, იმიტომ გადიოდა მეტი მენშევიკები დამფუძნებელ კრებაში, ვიდრე დღეს ბოლშევიკებია საბჭოებში? ახალციხეში არჩევნების დროს [illegible]—სოფლებში ნუ დაიარები, თორემ გვარდიელების მოქმედებაზე პასუხს ვერ გაგებთო!... და თვით ნოე რამიშვილი არ იყო, რომ ამ არჩევნების დროს გაზეთ «კლდეში» ჩემ მოადგილეთ დარჩენილ რეზო გაბაშვილს თავი «ვირის აბანოში» რომ ამოაყოფია და მხოლოდ მაშინ გამოუშვა, როცა გამოირკვა, რომ ჩვენს ფრაქციას დეპუტატი ეყოლებოდა?

ანდა იქნებ პიროვნების თავისუფლება იყო, თბილისის მენშევიკურმა «მერმა» ფედერალისტ შ. ნუცუბიძეს კინაღამ თვალი რომ ამოთხარა?... ან რომელი დემოკრატიის წესით იყო, რომ თვით მთავრობის ფრაქციის დეპუტატს, კირილე ნინიძეს რამიშვილის დასტურით რომ კიდია—ფაჩულიას აგენტები შეუვარდნენ ღამე ფანჯარაში, ქუჩიდან მიმდგარი კიბით და რომ ურტყეს?

ანდა იქნებ თქვენ «საკუთრებად» გადაქცეულ ევროპაში მონახეთ ჭეშმარიტი თავისუფლება, ისპანია იტალია—პოლონეთ—ბულგარია—რუმინიაში, ან კოლონიებში? თვით კლასიკური დიდი დემოკრატიის სახელმწიფოებშიც (საფრანგეთ, ინგლის—ამერიკაში) დღეს ყველგან ლიბერალური დემოკრატიზმი და პარლამენტარიზმი კრიზისს განიცდის და ადგილს უთმობს რეაქციულ დიქტატურას... სოციალური და ეროვნული პროგრესისათვის კი, ისტორიის გაკვეთილების მიხედვით, ყოველთვის რევოლუციური დიქტატურა სჯობდა...

და თუ ჩვენ სასამართლოს და «ადამიანურ ლიგას» მივმართეთ, არა იმიტომ, რომ დემოკრატიული გარანტიების «ლურჯ ჩიტს» ვეძებთ, არამედ იმიტომ, რომ შავი და თეთრი საჯაროდ გამოირკვეს!

—ქართველ მამულიშვილებს ახრჩობენო! გვაყვედრის «ბრძოლა». მერე ჩვენი ბრალია ეს? ტერორი ხომ აჯანყების შედეგი იყო. და აჯანყების ლიკვიდაციის შემდეგ ხომ ტერორიც შეწყდა. რამიშვილის ერთად ერთი თავის სარჩენი ხელობა კი სწორედ ის არის, რომ ახალი აჯანყებანი მოაწყოს საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ იცის, ახალ აჯანყებას ახალი, გეომეტრიულ პროგრესიით გაზრდილი ტერორი მოყვება! ეს იმისთვისაა საჭირო, რომ ევროპაში სთქვან,—ქართველი ხალხი კვლავ იბრძვის, რათა მეხუთე წელიწადი მისგან ქურდულად გაპარული ნ. ჟორდანიას «მთავრობა» კვლავ გაამინისტროს და რამიშვილს კვლავ შეეძლოს მეტეხის ციხეში ბინების განაწილება და მტკვარში ღამე პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა ხრჩობა!

იქნებ თქვენ გგონიათ, რომ რამიშვილს ქ ა რ თ უ ლ ი სისხლის დაღვრაც არ ახსოვს — განა ქართველი გლეხები არ იყო, რომ იხვრიტებოდა დუშეთ—სამეგრელო—გურიაში ბოლშევიკური ჯანყის დროს?..

«ბრძოლა»-ს ძალიან აბრაზებს, —რომ ჩვენ კომუნისტები არ გავხდით. — «მაშ კომუნისტების ნადი ხართ, მათი თი დაქირავებულნი; იდეური მოტივები და კომუნისტური სიმპათიები კი არ გალაპარაკებთ, არამედ ის, რომ პატიოსან შრომას ბოლშევიკების ხარჯზე ცხოვრება ამჯობინეთო!»

ასე, მაშ, ამასაც მოვესწარით!.. «ბრძოლა» ასეთი დემაგოგიიდან ივლისიდან დაწყებული ჯენტლმენურად თავს იკავებდა; თვით ნოე რამიშვილი, როგორც გადმომცეს, საქართველოში გაგზავნილ ერთ ერთ სამოციქულო ცირკულიარში ჩემ პოლიტიკას მხოლოდ ისტერიულ ბრალს დებდა (სხვათა შორის ეს სიტყვა (ისტერიკა) «გამკვრელ» ანონიმსაც აქვს ნახმარი, მაგრამ ბოლოს, როგორც სჩანს, მენშევიკური სულის შეკავება დიდის ხნით ძნელია და მართლაც, რომ ისტერიული ლანძღვა დაგვიწყეს. —ალბად აქამდის რამშვილს «ახალი საქართველო» ხუმრობა ეგონა და ეხლა კი მის შემდეგ, რაც მისმა თვალებმა უკვე ამბები ნახეს, სწორწორიობა დაკარგა.

ეხლა მოვახსენებთ პასუხსაც :

I. ამიხსენით, რატომ შემეძლო ვყოფილიყავი სამი წლის განმავლობაში აქტიური თანამშრომელი მენშევიკური ლეგაციისა და მთავრობის ისე, რომ მენშევიკი არ გავმხდარიყავი, და რატომ არ შემიძლია დღეს, გამოვცე საბჭოთა საქართველოს ორიენტაციის გაზეთი და დავრჩე მაინც არა კომუნისტი? რაშია საქმე?

ეხლა «გაყიდვაზე» — მირაბოს თქმის არიყოს, თუ მე «გაყიდული» ვარ, ფული ვიღამ ჩაიბარა, არ ვიცი—მე კი არ ამიღია ეს ჩემი ფასი!... რაც შეეხება «პატიოსანი შრომის» საკითხს, მოგაგონებთ, რომ 1924 წ. მაისიდან ოკტომბრამდის თავს მხოლოდ ფრანგულ ქარხანაში მუშაობით ვირჩენდი, და. ძველი ინტერპარტიული კოლეგიის დაშლის შემდეგ, ლეგაციის გასიდან არც ერთი კაპიკი არ მითხოვია.

ივნისში უკვე ალ. სვანიძემ [illegible] დამეტოვებია ემიგრანტული ლაგერი, მაგრამ მე ვუთხარი,—სანამ საფრანგეთს საბჭოები არ უცვნია, ხმას არ ამოვიღებ, არ მინდა, რომ მე დამაბრალონ ჩხენკელ—ჟორდანიას «მუშაობის» ჩაშლა მეთქი. თუ სხვის ხარჯზე ცხოვრება მდომოდა, ასე გავუშვებდი ალ. სვანიძეს ბერლინში?

და თუ გამოვედი, გამოვედი მხოლოდ მაშინ, როცა აჯანყების შემდეგ დღესვე აშკარა შეიქნა ჩემთვის აუცილებლობა ქართული პოლიტიკის რევიზიისა და ახალი სიტყვისა და საქმის.

რომ სხვის ხარჯზე ცხოვრება ჩემი იდეალი იყოს, მაშინ არც იმ შემთხვევას გავუშვებდი ხელიდან, როცა აჯანყების დროს დაღვრილი სისხლის ფასად ნაშოვნი ფულის დარიგება დაიწყეს ლეგაციაში, «პოლიტიკურ მოღვაწეთა» შორის. მოგმართეთ?

და განა თვით თქვენთვის აჯანყების ერთად ერთი რეალური შედეგი იმ ფორმულით არ გამოიხატებოდა, ივან პავლიჩ გობეჩიამ რომ წარმოსთქვა: «თუ ამ აჯანყების დროს ფული არ ვიშოვნეთ, სხუმის როდის ვიშოვითო?» და განა, ამ ფორმულის მიხედვით არ დატრიალდა მაშინ რამიშვილი სამხედრო და სამოქალაქო «სპეცების» დახმარებით ფულის საშოვნელად — რუსის მონარქისტებში, ამერიკელ სპეკულიანტ დუმბაძესთან და პარიზში ლტოლვილ თბილისის, სოლოლაკელ სომხებშიც კი? თვით ნოე ჟორდანია ამ დროს საფრანგეთში მყოფ ქართველ იურისტებს კონსულტაციას თხოვდა, — პარიტეტულ კომიტეტს საქართველოში უჩემოდ კანონიერი მთავრობის შედგენა ხომ არ შეუძლიაო?!!

დღეს კი, თვით "დიდი" ნოეც ნიკავს ფულს შვეიცარიაში ქართული კომიტეტის 5 ფრანკიანი საწევრო გადასახადით.. წინად, რასაკვირველია, ნ. ჟორდანია ასეთ მცირე რამეს არ იკადრებდა... აი მაგალითად, როცა თბილისში 1917 წ. ქართული ეროვნული საბჭო სდგებოდა, ნ. ჟორდანიამ ბრძანა: პრაქტიკულ მუშაობას ვერ დავიწყებ, სანამ საკმარისი თანხა არ გვექნებაო. მაშინ დავით ვაჩნაძემ, ვითარცა მინინ და პოჟარსკის, მოუტანა 15 ათასი ოქროს მანეთის ღირებული ნიკოლოზის ქაღალდის ფული და გადასცა — მიირთვით, ბატონო ნოე. ოღონდ მუშაობა დაიწყეთო! ეს თანხა იყო მაშინ, საქართველოში საიდუმლოდ არსებული გერმანული ორგანიზაციის ფული და ნ. ჟორდანიამ იცოდა ეს... (სხვათა შორის როცა დ. ვაჩნაძე 1923 წ. ჩამოვიდა სტამბულში, მე მომწერა — ნ. ჟორდანიას გადაეცი ჩემი თხოვნა, ამ ფულის მესამედი მაინც დააბრუნოს მთავრობის თანხიდანო. რასაკვირველია გადახდით ვერ გადაახდევინა, მხოლოდ «ნატურით» საქართველოს სამხედრო მინისტრის პორტფელი კი შესთავაზეს მას აჯანყების დროს*)..

რას იტყვით, ამ პატარა ისტორიული ამბის მიხედვით, ნოე ჟორდანია «რეალისტია», თუ «იდეალისტი»?

რაც ანონიმურმა «გამკვრელმა» დაგვაკლო (პირდაპირ გინება), ის ალ. ლორთქელის ავლაბრულ წერილში ჩაუწერია «ბრძოლის» რედაქციას. მაგრამ ამ ავლაბრულში ჩაწერილია ერთი პოლიტიკური ბრალდებაც და გვინდა ისიც ნაღდათ გადავიხადოთ.

—«ვეშაპელი «მონარხისტ—ფაშისტიაო», ნათქვამია ამ წერილში!—კეთილი და პატიოსანი, მაგრამ საკითხავია, როდის შემდეგ გავხდი მე ასეთი კაცი?

როცა 1918 წ. ტრაპიზონის კონფერენციის ჩაშლის შემდეგ,

*) დ. ვაჩნაძის წერილის ამ ნაწილის კლიშე, თუ საჭირო იქნება, დაიბეჭდება; ყოველ შემთხვევაში, რამიშვილის აგენტები დამშვიდებულნი იყვნენ — ყველა ასეთი დოკუმენტები ჩემი არხივიდან საიმედო ადგილს ინახება და ბინის გაქურდვით, როგორც ეს უყვეს ს. ქ—ძის არხივს, ვერაფერს იშოვნიან!



„სარამიშვილო“.

ამ მამულში ბუდობენ რამიშვილის «მურიები». მათთვის საჭირო «ლუკმა პური» საქართველოდან გამოტაცებული სახელმწიფო და კერძო ქონების ნაშთებია. ვინაიდან კანდელაკის სკივრი უკვე ფსკერზე მიმდგარი, ჯერი მარხვის ფრანგულ სახელმწიფო ბანკში და ლომბარდში შენახულ საეკლესიო და სამუზეუმო ნივთებზე. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ის პირნი, რომელთა რეესტრითაც ჩაიბარა ბანკმა ეს ქონება, ზომებს მიიღებენ, რათა სამუზეუმო და საეკლესიო ნივთები გამოცხადებულ არ იქნას ჟორდანია—რამიშვილ—ჩხენკელის მიერ «ისტორიულ ღირებულებას» მოკლებულ ნივთებათ და არ იქნას გადაძნობილი ამ საქმის «სპეცის» ილიკო ელიგულაშვილის მიერ. განსაკუთრებით ველით ასეთ ყურადღებას ბ. ექვთიმე თაყაიშვილისაგან, რომელმაც დამფუძნებელი კრებისგან მიიღო ამ ქონების მეთვალყურეობის დავალება.

ოქტომბერის რევოლუციის მერვე წლისთავზე

მოსკოვის კრემლში: სტალინი-ჯუღაშვილი, რიკოვი, კამენევი, ზინოვიევი.

ჩხენკელმა ნ. ჟორდანიას მანდატი ჩამაბარა და მთხოვა, დავრჩენილიყავი მ ა რ ტ ო დ ენვერ ფაშასთან მოსალაპარაკებლად, მაშინ ხომ არ ვიყავი მონარხისტი?

შემდეგ, როცა 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს რომ პრეზიდიუმში ჩემთან ერთად ნ. ჟორდანია იჯდა,—არც მაშინ ვიყავი ხომ მონარხისტი?

შემდეგ, როცა 1921 წ., გასაბჭოებისას სტამბულში რომ ჩამოვედი (ცალკე, მენშევიკების შემდეგ) და ჩხენკელმა რომ ტელეგრამა მომწერა, პარიზში ჩამობრძანდითო,—არც მაშინ ვიყავი ხომ კიდევ მონარხისტი. არც მაშინ როცა 1922 წ. ნ. რამიშვილმა და ჩხეიძემ ჩემს ნაც. დემ. ჯგუფთან საკოალიციო ხელშეკრულება დადეს (სადაც სხვათა შორის, სრული კაპიტულიაცია მოვახდინეთ სოციალ დემოკრატებს, როგორც პოლიტიკური ისე ეკონომიური პლატფორმის მხრივ).

ანდა მაშინ ხომ არ ვიყავი მონარხისტი, როცა 1924 წლამდის პარიზში, ჟორდანიას «მთავრობის» და ჩხეიძის დამფუძნებელი კრების «კოლეგიის» სრულუფლებიანი წევრი გახლდით და თქვენი მანდატით ჟენევის კონფერენციაზე—ინტერპარტიულ დელეგაციაში ვიყავი?

1924 წ. დასაწყისშიც არ ვყოფილვარ კიდევ გამხდარი «მონარხისტ—ფაშისტი», ნოე რამიშვილმა რომ მთხოვა ოსმალეთში, საქართველოს საზღვარზე ერთად წასვლა: იქ ინტერპარტიული კონფერენცია მოხდება აჯანყების საკითხზე სათათბიროდ და «მთავრობას აუცილებლად მიაჩნია თქვენი ჩემთან ერთად ყოფნაო». მე უარი ვთქვი ამ ერთად წასვლაზე, რადგან პოლიტიკურადაც და პერსონალურადაც ნოე რამიშვილს როგორ ვენდობოდი ასეთ ექსპედიციებში! ეს ამბავი ხომ 1924 წ. თებერვალში იყო — მაშ როდისღა გავხდი ეს ოხერი —«მონარხისტ—ფაშისტი» პარიზელ მენშევიკებისათვის? — დაბოლოს ისე გამოდის, რომ მე ასეთი რამ გავმხდარვარ, როცა იმავე 1924 წლის შემოდგომაზე საბჭოთა ხელისუფლება ვიცანი...ვაი თქვენს როგს, ბატონებო!..

არა, არც მონარხისტი და არც ფაშისტი, მე არასოდეს არ ვყოფილვარ. მართალია მუდამ იდეოლოგიურ მიჯნაში ვიყავი, დაწყებული გიმნაზიური შენშევიზმით, მერმე სტუდენტური ფედერალიზმით და გათავებული უნივერსიტეტის შემდეგ ნაციონალიზმით...

ისიც მართალია, რომ ევროპაში, ემიგრაციაში ჩემმა აზროვნებამ დიდი ევოლუცია განიცადა, მაგრამ ეს იყო და არის ევოლუცია მარცხნივ, წ ი ნ, და არც ერთ უ კ ა ნ დატოვებულ ეტაპისკენ მობრუნებას ჩემი დიალექტიკით არ ვაპირობ!

პოლიტიკური ხაზი კი ჩემთვის ყოველთვის იმ ფორმულით იყო გაყვანილი, რომელიც 1918 წ. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინა დღეს ვთქვი.—«ჩემთვის, როგორც ნაციონალისტისათვის, მთავარი საქმე ქართველი ერის სახელმწიფოებრივი მთლიანობა არის; რომელი ფორმაც უზრუნველყოფს ამას, ის არის კარგი, გინდ სოციალდემოკრატიული რესპუბლიკა იყოს ეს, გინდ მისი ანტიპოდი» მეთქი. (დაბეჭდილია ჩემ წიგნში: «სიტყვები პარლამენტში» გვ. 4) თუ შარშან საბჭოთა საქართველოს პლატფორმაზე დავდექი, ამ, ექვსი წლის წინად ნათქვამი ფორმულით ვხელმძღვანელობდი... ერთი თქვენც იკითხეთ ის ფორმულები, რომელსაც სჭედდით ექვსიოდე წლის წინ!

და თუ მონარხისტების ამბები ძალიან გაინტერესებთ, აკაკი ჩხენკელს მოკითხეთ, თუ როგორ იყო რომ, იმის დროს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, გერმანიაში რომ წავიდა და იქ მიხაკო წერეთელთან ერთად ვილჰელმის პრინცებს რომ «ხელის» თვალით მინჯავდა, აბა რომელი უფრო გამოგვადგება საქართველოსთვისო?

«ბრძოლის“ ანგარიშების მოსაწვევად, საჭიროა მეხამე, აგვისტოს ნომერის «გაკვრაც” გავიხსენოთ.

აი რას ამბობდა მაშინ „ბრძოლა“: —"ახალი საქართველოა მხოლოდ საქართველო 26 მაისის, რომელსაც რენეგატ—ნაცარქექიები სტალინ—ორჯონიკიძის საქართველოზე სცვლიანო... ვის აპრიყვებენ? ხალხს, ისტორიას? ტყუილი იმედია. მათი გზის გამრუდება შეუძლებელია. ეს აღემატება ადამიანის ძალღონეს... ბ. ვეშაპელი იდგა ახალი საქართველოს გზაზე, ვერ შემაგრდა და გადავარდა... ბრძოლის პოზიცია მან გადასცვალა ზვეწნის პოზიციაზე... ჩოქი—ჩოქი ვეშაპელო—ვულეიმვილებოო...

კარგი და პატიოსანი!.. მაშ, ეხლა ზვეწნისა და ჩოქის პოზიციას გვაყვედრით?... მერმე რა, თუ ეს დასაყვედრია,—მხოლოდ ფსიხოლოგიურად, თორემ პოლიტიკურად განა ვინმეს მარს მოუგებ, კედელს რომ მიადგება, უკან დაიხიოს?... ყველას ხომ მართლაც „აზროვნების ცეცხლის გამძლეები" სარამიშვილო აგურით არა აქვს ნაშენები თავი?..

—დაიჩოქეთ?— ესეც ხომ ფსიხოლოგიურადაა მარტო საწყენი, თორემ პოლიტიკურად რაა დასაყვედრი, რომ იმ ო ქ ტ ო მ ბ ე რ ი ს წინაშე დავიჩოქოთ, რომელიც მერვე წელია რაც ძლევამოსილად სვლას განაგრძობს!.. თქვენ ამ რევოლუციის მტლის ბორბლებში მოდება და მიწაზე მუდამ მის უკან თრევა გირჩევნიათ თანამგზავრობას? —ესეც არა გემოვნების, არამედ ჭკუის საკითხია, ბატონნო „მებრძოლნო!"...

არა, ბატონებო, თქვენ ახალი და ძველი საქართველოს საკითხი კი არა, ახალი და ძველი მ თ ა ვ რ ო ბ ი ს საკითხი გაწუხებთ!

თქვენ არ გინდათ შეურიგდეთ იმ ფაქტს, რომ ზედმეტნი გახდით, როგორც ლიდერები საქართველოს ქვეყნიერობისათვის და თქვენი საკუთარი პარტიის წევრებისთვისაც.

და ჩემზე განსაკუთრებით კი იმიტომ ხართ ასე გაბრაზებული, რომ დაწყებული საქართველოს პირველი პარლამენტიდან, ჩემმა ოპოზიციამ რამოდენიმეჯერ ჩაშალა ჟორდანია—რამიშვილის შემოღწიისათვის ხელოვნურად მოგონილი „კოალიციები“.

ასე იყო 1918 წ. თბილისში რამიშვილის კოალიციური მთავრობის შედგენის დროს· ასე იყო 1921 წ. როცა ჟორდანია საზღვაო კოალიციურ სამინისტროს აფუძნებდა. და ასე იყო შარშანაც, როცა ჟორდანია—რამიშვილ—ჩხენკელ—ჩხეიძემ მოინდომეს, თბილისში პოლიტიკურად მომკვდარი პარიტეტული კოალიციის აღდგენა.

სრული იმედი მაქვს, რომ ეს უკანასკნელად მოხდება ასეთი ხირურგიული ოპერაციის მოხდენა, ვინაიდან ამ ხალხის პერსპექტივა აწი —ქართული რევოლუციის არხივი არის.

რაც შეეხება პერსონალურათ ნოე რამიშვილს, რომელიც ჩემ მიერ «ფრონტის» გაროვევისათვის, ტერორით "მონელებას" მემუქრებოდა თურმე, — მოვაგონებ მას, რომ ქართული ანდაზა ასე ამბობს: "ვეშაპი ისეთს არაფერს გადაყლაპავს, რომ არ მოინელოსო!"...

გ. ვეშაპელი

გ. მაზნიაშვილის

მოწოდება მხედრებისადმი

მე მხედარი ვიყავი, ვარ და დავრჩები. და თუ დღეს კალამი ავიღე ხელში, არა იმიტომ, რომ რაიმე პოლიტიკის წარმოება მინდოდეს, არამედ იმიტომ რომ მრწამს, დღეს არც ერთ ქართველს, რომელსაც სამშობლო უყვარს, არ აქვს უფლება გაჩუმდეს შექმნილი მდგომარეობის შესახებ. ორ წელიწადზე მეტია. რაც ემიგრანტი ვარ არა ჩემი ნებით და ამ ხნის განმავლობაში პოლიტიკური ემიგრაციის შუაგულში ვიყავი პარიზში და მისი ლიდერებისაგან ზოგიერთი პასუხისმგებელი დავალებანიც მიმიღია.

ამ ხნის განმავლობაში დავრწმუნდი, რომ ემიგრაციის ლიდერებს არსაიდან არავითარი იმედი რეალური დახმარებისა არ ქონიათ, არც ევროპის ოფიციალურ წრეებში და არც თვით რუსის მონარხისტულ წრეებში. ევროპის არც ერთ სახელმწიფოს არ აღუთქვამს დახმარება, არც ჯარით, არც აფიცრებით, არც იარაღით და არც ფულით!

მიუხედავათ ამისა, მენშევიკების მეთაურებმა მ ო ტ ყ უ ი ლ ე ბ ი თ ჩააგდეს აჯანყების ცეცხლში ქართველი ხალხის ნაწილი.

აი მოტყუილებისა და პროვოკაციის მაგალითი: აჯანყების დროს თურმე საქართველოში პროკლამაცია გამოიცა, სადაც ეწერა, რომ გენერალი მაზნიაშვილი ოსმალეთში, ხოფაში არის მზად დესანტითო. ამ დროს კი მე კიდევ პარიზში ვიყავი!

ასეთი ტყუილებით შეაცდინეს ქართველი ხალხი და რაც მოყვა ამას, ყველამ ვიცით...

მაგრამ პარიზის ემიგრაციის ლიდერები მაინც არა სცხრებიან და ახალი, სხვა «მასშტაბის» აჯანყების გეგმებს სთხზავენ!

ამიტომ მე ჩემ მოვალეობათ ვრაცხ განვაცხადო შემდეგი: სოციალისტი არა ვარ, მაგრამ წინააღმდეგი ვარ საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლის გაგრძელების. ყოველმა ქართველმა უნდა იცნოს საქართველოს დღევანდელი მთავრობა და შეუდგეს სამშობლოს აღმშენებლობითი მუშაობას.

ჩვენ, ქართველ მხედრებს არასოდეს არ გვშინოდა ჩვენი სისხლის შეწირვა სამშობლოსათვის, მაგრამ დროა შეწყდეს ამ სისხლის დაღვრა ევროპაში თბილად მოკალათებულ პოლიტიკანების ავანტიურებისათვის.

მე მოვუწოდებ კერძოდ იმ ქართველ მხედრებს, რომელთან ერთად არა ერთი სახელოვანი ბრძოლის ტრადიცია მაერთიენებს,—უსმინონ დღესაც თავიანთ მოხუც სარდალს!

5 ნოემბერი 1925 წ.
პარიზი.

გენერალი გიორგი მაზნიაშვილი.

მარსელის ფონი

«ჩინეთის ამოძრავების პირველი ტალღა რუსეთის საზღვრებს დაეტაკება. პირველსავე გამომაზილს ციმბირსა და ამიერკასპიის მხარეში უნდა ველოდეთ».

ნ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ს წერილის დაბოლოვება «ბრძოლის» მეორე ნომერში.

«სოციალისტური ინტერნაციონალი საბოლოოთ გამთელებულია. მას უსმენენ მტრები, მასზე იმედს ამყარებენ მოყვარენი. ეს ფონი ყველაზე უფრო საიმედოა და მისი დახმარებით გავალთ ჩვენც».

ნ. ჟ—ის წერილის დაბოლოვება «ბრძოლის» მეოთხე ნომერში.

«ჟორდანიას მთავრობა» საქართველოში დაბრუნებას აპირებს, რამიშვილის აზრით, ჩინეთის შემწეობით, ნ. ჟ.—ნი კი «უფრო საიმედოთ» მეორე ინტერნაციონალის გაბედულებას სთვლის.

ნ. რამიშვილის, ამ საკითხის შესახებ «დებულებები» და «მოსაზრებები» მე «ახალ საქართველოს» წინა ნომერში გავამხიარულე. მე ვფიქრობდი, რომ რამიშვილის მიერ საქართველოში შესასვლელი გამონაჩული ფონი მორეული მომავლის საქმეა და არც თვით ფონია დიდათ საიმედო. ეს რამიშვილის ფანტაზიაა. უსაქმოთ დარჩენილ «მინისტრების» ემატიება ფანტაზიის მორევში ცურვა. საქართველოს კი ასეთი უნაყოფო ვარჯიშობა თუ არ გამოაფხიზლებს, ველარ მოატყუილებს მაინც: ქმალი და ჩემბერლენი უფრო ახლოა, ვიდრე ჩინეთის რომელიმე ღენერალი.

სულ სხვაა მეოთხე ნომრის ფონი, და აქ ჩვენ სიცილ—ხარხარით ვერ დავკმაყოფილდებით, სხვათა შორის იმიტომაც, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს ნ. ჟ—თან და არა რამიშვილთან.

მის წერილს სათაურათ «მ ა რ ს ე ლ შ ი» აქვს და ეხება მეორე ინტერნაციონალის მარსელის კონგრესს.

ნ. ჟ—ნია ამბობს: «მსოფლიო ომმა, ქვეყნის ასე გაჩანაგებამ და დარბევამ სამუდამოთ დაუკარგა პრესტიჟი ამ უბედურების მეთაურს—ბურჟუაზიას და განადიდა სოციალიზმი, იმპერიალისტური პოლიტიკა საქვეყნოთ გაკოტრდა, «ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი პ ო ლ ი ტ ი კ ა ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი მ ე ი ქ ნ ა». [კურსივი ჩემია. ი. კ.] ამას სწერს «ბრძოლა». რომ ის იძულებული გახდა ევროპის პროლეტარიატის მძლავრმა მიწოლამ. პროლეტარიატმა ათქმევინა ბაუერს,

ს ა კ ო ნ ს უ ლ ო

აცხადებს შემდეგს:

თანახმად ამიერ-კავკასიის ს. ს· ფედერატიული რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტისა (შესახებ უცხოეთში მყოფ პირთა ზოგიერთი კატეგორიის მოქალაქეობის დაკარგვისა) საფრანგეთსა და მის კოლონიებში მცხოვრებნი ამიერკავკასიისა, კერძოდ საქართველოს ყველა მკვიდრნი ვალდებულნი არიან თავიანთი მოქალაქეობის უფლებათა მოსაპოებლად ან და აღსადგენად, მოახდინონ რეგისტრაცია პარიზის გენერალურ საკონსულოში (12, Rue Le Verrier, Paris, VIe).

ამა წლის 12 დეკემბრამდის.

«კომუნისტიც» ასე დასწერდა; განსხვავება მხოლოდ ამაშია: «ბრძოლა» სოციალისტური პოლიტიკის აუცილებლობას სიტყვიერათ აღიარებს და პოლიტიკის განხორციელების ეშინია და მას ებრძვის თავდავიწყებით, «კომუნისტი» კი ამას ამბობს და ამასვე ახორციელებს.

ცოტა ქვევით ჩვენ გკითხულობთ: «სოციალიზმი აღიარებს ომს აუცილებელ მოვლენათ კლასიურ საზოგადოებაში. ომი კლასთა შორის ბადებს ომს ერთა შორის. მოსპეთ კლასთა ბატონობა, გააუქმეთ მისი უკანასკნელი ფორმა—კაპიტალიზმი, დაამყარეთ სოციალიზმი და ომი შიგნით და გარეთ მოისპობა».

ამას ამბობს «ბრძოლა» და . . . ებრძვის მას, ვინც სპობს კლასთა ბატონობას და ამყარებს სოციალიზმს,—ებრძვის ბოლშევიკებს.

კიდევ ცოტა ქვევით ნ. ჟ—ნია გვეუბნება: «საბოლოო მიზნის მიღწევამდე არა ერთი და ორი ომი შეიძლება ატყდეს, სანამ პეტრე მოვა პავლეს ტყავი გაძვრეს», გვეუბნება და თვითონ კი პეტრეს მოსვლას უცდის და უცდის. პ ე ტ რ ე უთუოთ მოვა, მხოლოდ პ ა ვ ლ ე მ რომ «ბრძოლას» დაუჯეროს, მას მართლაც ერთიან გაძვრება ტყავი. და აი ჩვენ ვხედავთ, რომ პ ე ტ რ ე მოვიდა საქართველოში და მას ჟორდანია და «ბრძოლა» ებრძვიან. ჩვენ ვხედავთ, რომ სიტყვისა და საქმეს შორის დიდი ზღვარი დევს.

იქვე, ქვევით ჩვენ ვკითხულობთ: «პროლეტარიატი იბრძვის ა რ ს ე ბ უ ლ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ შ ი (კურსივი ჩემია. ი. კ.) ომის თავიდან ასაცილებლათ და ხალხთა ურთიერთობის მოსაწესრიგებლათ». მაგრამ განა თვით ნ. ჟ.-ამ ცოტა ზევით არ გვითხრა, რომ ომის შიგნით და გარეთ მოსასპობათ საჭიროა კლასთა ბატონობის მოსპობა, კაპიტალიზმის გაუქმება და სოციალიზმის დამყარება? და განა ა რ ს ე ბ უ ლ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ შ ი შესაძლებელია პროლეტარიატის ნაყოფიერი ბრძოლა? და განა მარქსი არ ამბობს, რომ პროლეტარიატის ბრძოლის გამარჯვება თხოულობს არსებული, ე. ი. ბურჟუაზიული სახელმწიფოებრივი წესწყობილების «დამსხვრევას»? და როდესაც კომუნისტები «ამსხვრევენ» «პოლიტიკურ საზღვრებს» «ბრძოლა» მათ გამმაგებით ებრძვის.

ასეთია ნ. ჟ.—ას დასკვნები მარსელის კონგრესიდან. ასე მსჯელობს ქართველი მენშევიკი, ასე ფიქრობს მეორე ინტერნაციონალი, ასე ფიქრობს საერთაშორისო მენშევიზმი.

ამ საკითხში «ბრძოლა» სავსებით კმაყოფილია კონგრესით, მხოლოდ მას არ მოსწონს მ ა რ ს ე ლ ი საბჭოთა რუსეთისადმი დამოკიდებულებაში. თურმე მან «ამ საკითხში ვერ გამოიჩინა საკმაო ერთსულოვნება» და თურმე «ეს იშვიათი ამბავი სოციალისტური ინტერნაციონალისა აიხსნება თვით საკითხის სიახლით და გაურკვევლობით», და ყოველივე ეს მოხდა იმიტომ, რომ «მათ აწუხებს საკუთარი იარა და მორეულს ჯეროვანად ვერ აფასებენ». (იხ. «ბრძოლა» № 4).

ნ. ჟ—ნია მწუხარებით აღიარებს, რომ «ავსტრიის სოც.—დემოკრატიულ პარტიის ლიდერ ბაუერს კიდევ სწამს ბოლშევიკების სოციალისტობა»ო და იქვე მოჰყავს ბაუერის სიტყვები ბოლშევიზმის შესახებ: «ყოველ შემთხვევაში ის მაინც სოციალიზმია. ამ საერთო სოციალიზმიდან, მიუხედავათ ყველა წინააღმდეგობისა ჩვენ შორის, გამომდინარეობს შედარებითი ერთობა ინტერესებისა, რაც არ უნდა იყოს დავიწყებული».

ჩვენ ვიცით, რომ ბაუერის აზრი საბჭოთა ხელისუფლებისადმი დამოკიდებულებაში გაიზიარა მთელმა კონგრესმა და სათანადო რეზოლიუციაც გამოიტანა. გამოიტანა არა იმიტომ, რომ მას ეს უნდოდა, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ თუ რომელიმე სახელმწიფო მოინდომებს საბჭოთა კავშირის დატაკებას, ის ევროპის პროლეტარიატში «სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდება»—ო.

მიუხედავად ამისა, ნ. ჟ—ნია მაინც კმაყოფილია მეორე ინტერნაციონალის კონგრესით, მისი «საბოლოო გამთელებით». ამ გამთელებაში ის ხედავს საქართველოში ჩასვლის «საიმედო ფონს».

რა აიმედებს «ბრძოლა»-ს? ო დ ო ნ დ ბ ა ლ დ ი ნ უ ი ტ ი რ ე ბ ს დ ა რ ი თ ა ც უ ნ დ ა თ ა ვ ი მ ე ი ქ ც ი ო ს ო. მ ა რ ს ე ლ მ ა ც თავი შეაქცევია ქართველ მენშევიკებს: მან დაჰგმო საქართველოს «დაპყრობა» და მოუწოდა ყველა «დაპყრობილ» ერებს და თვით რუსეთის ხალხს ბოლშევიზმთან საბრძოლველად.

ამით მ ა რ ს ე ლ ი თავნიდან არას აგებს.

ნუ დაიბრმავებთ თვალებს, ნუ მოიყრუებთ თავს: ევროპის პროლეტარიატი გარკვეულად და ხმა მაღლა ამბობს: თუ ვინმე გაბედავს საბჭოთა კავშირის დატაკებას, ის ჩემში სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდებაო.

2 ინტერნაციონალის ფონიც, ამგვარად, უიმედოა.

ივ. კაჭუხაშვილი

Ligue des Droits de l'Homme

9 აგვისტოს «პაგრომის» შესახებ.

5 ნოემბერს გრიგოლ ვეშაპელი მიიპატიჟა საზოგადოებრივ «ადამიანის უფლებათა დაცვის ლიგის» გენერალურმა სეკრეტარმა, Henri Guernut—მ.

საუბარი ეხებოდა 9 აგვისტოს «თეთრი გიორგის» მიერ მოწყობილ პაგრომს და მის შესახებ ჩვენ მიერ ლიგაში აღძრულ საჩივარს.

ანრი გერნიუმ განაცხადა, რომ რადგან ამის შესახებ საქმე სწარმოებს სასამართლოში, მას არ შეუძლია მოახდინოს ეხლავე ანკეტა. ხოლო მორალურად ლიგას არ შეუძლია არ გაკიცხოს ძალადობის მეთოდები, მიმართული ერთი ემიგრანტული ქართული ჯგუფის მიერ, მეორეს წინააღმდეგ, რომლითაც ირღვევა საფრანგეთში არსებული წესი და ტრადიცია.

შეკითხვაზე, არის თუ არა ხამიში, განმეორება ასეთი ძალადობისა, გ. ვეშაპელმა მოახსენა ის მუქარები, რომელთაც განაგრძობენ ჟორდანია—რამიშვილის «ბრძოლა» და კედია—ფაჩულიას «სამშობლო».

დასასრულ გ. ვეშაპელმა მიაქცია ბ. გერნიუს ყურადღება იმ ფაქტს, რომ ნ. მიწიშვილი გადასახლებულ იქნა ჩხენკელის «ლეგაციის» დასმენით პრეფექტურაში და რომ ეს «ლეგაცია» ემუქრება ყოველ ქართველს, რომელიც სცნობს საქართველოს ახალ მთავრობას, ასეთი დასმენით, კარტ დ'იდანტიტეს წართმევით და გადასახლებითაც კი!

ბ. გერნიუ აამღელვა ამ ფაქტმა—«ეს იმ მეთოდების განმეორებაა, რომელსაც ხმარობდა მოწინააღმდეგე ემიგრანტების წინააღმდეგ მეფის რუსეთის საელჩო».—ბ. გერნიუმ განაცხადა რომ იგი მზად არი გამოიკვლიოს ეს საქმე და მოსთხოვოს პასუხი როგორც ჩხენკელის ლეგაციას, ისე პრეფექტურას.

P. S. «ადამიანის უფლებათა დაცვის ლიგა» არის მძლავრი პოლიტიკური ორგანიზაცია რადიკალ სოციალისტური ინტელიგენციისა. ამ ლიგის დაარსებულია და მისი ორგანოა გაზეთი "Quotidien".

გ. ვეშაპელი იცნობს ბ. გერნიუს პირადათ, დაწყებული 1921 წლიდან, როდესაც იგი სცნობდა ლიგის ერთ ერთ აქტიურ წევრის M. Seailles ოჯახში, რომლის ახლო მეგობარია ა. გერნიუ.

ამას გარდა გ. ვეშაპელს უხდებოდა ა. გერნიუს შეხვედრა, როდესაც იგი ინტერპარტიულ ცენტრში ყოფნის დროს, ჩხეიძე საბანტარიშვილთან მონაწილეობდა ლიგის ქართულ სეკციის ბიუროში.

წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ საშუალება მომცეთ, განვაცხადო, რომ მე ვიზიარებ თქვენი გაზეთის № 1 გამოქვეყნებულ პარიზელ ქართველ სტუდენტთა ჯგუფის დეკლარაციას.

სტუდენტი--ქალი ვალენტინა. ვაშაძე

5 ნოემბერი 1925 წ. ქ. პარიზი

ჭიათურის კონცესია

წერილი ლონდონიდან

ამ ჟამად საზოგადოება «ქართული მარგანეცი» (Georgian Manganese Co Ltd) მუშაობაშია გაასაღოს მარგანეცი, რომელსაც დადებული ხელშეკრულების ძალით იგი ღებულობს ადგილობრივი ფირმების მიერ. პირველი პარტია მარგანეცისა, რომელიც ჰარიმანი ვალდებულია გაასაღოს პირველ რიგში ეკუთნის ადგილობრივ ფირმებს (600,000 ტონა, მათ შორის 42 პროც. ჭიათურის ქართული მრეწველობის სააქციო საზოგადოებისაა, და 170,000 ტონა კი საქართველოს მარგანეცის მრეწველობის სამართველოსი, რომელნიც აბარებენ ჰარიმანს ჭიათურის სადგურზედ საექსპორტოთ გამზადებულ მარგანეცს.

ამ პარტიიდან უკვე მოვიდა ორი გემი კონტინენტზე და ერთი ინგლისში. ამ მოკლე ხანში ფოთში ელიან კიდევ ახალ გემებს ამერიკისათვის, სადაც ჰარიმანმა მიყიდა 110,000 ტონა კარნეგის სტილ კომპანიას.

ამ დღეებში სააქციონერო საზოგადოება «საქართველოს შავი ქვა»-მ მიიღო ჰარიმანის მიერ ნიუ-იორკიდან გამოგზავნილი დეპეშა, რომ საზოგადოების პირველი მსხვილი გარიგება შავ ქვაზე — 550,000 ტონის (ტონა უდრის 62 ფ.) რაოდენობით, შეზრულებულია.

ლონდონში ჩამოვიდა თავჯდომარე «საქართველოს მარგანეცი»-სა, ჩარლზ ჰოლმანი, რომელიც მუშაობს ქვის გამსაღებელ აპარატის მოწყობაზედ ინგლისისა და კონტინენტისათვის. ნიუ-იორკში ქვის გაყიდვას აწარმოებს თვით საზოგადოება „ქართული მარგანეცი“ უშუალოთ ყოველგვარ კომისიონერთან.

ლონდონში ევროპისათვის ეწყობა ჰარიმანის ცენტრალური წარმომადგენლობა; ევროპისათვის ჰარიმანის წარმომადგენლათ დანიშნულია ვალტერ მაგრატი.

საქართველოდან ჰოლმანის შესახვედრათ და მისთვის ინფორმაციის მისაცემად სპეციალურად ჩამოვიდა ექსპერტი და თარჯიმანი კოტე ჯაყელი.

ტფილისიდან ახლად მიღებული ცნობის თანახმად საზ. «ჩემო»-მ თავის სრულუფლებიან რწმუნებულად ანგარიშების ლიკვიდაციის მოსახდენად დანიშნა «ჩემო»-ს საზღვარგარეთელი კომიტეტის მდივანი ა. დეკანოზიშვილი, რომელიც უკვე ჩამოვიდა ჰააგიდან «არკოს»-თან ანგარიშების გასასწორებლად.

ამერიკიდან გამოვიდა და ამ დღეებში ლონდონში მოელიან მეორე ჯგუფს სპეციალისტ ინჟინრებისას, რომელნიც იგზავნებიან ჰარიმანის მიერ ჭიათურაში სამუშაოთ. აღნიშნული ჯგუფი ლონდონში დარჩება მხოლოდ სამი დღე და შემდეგ ბერლინ მოსკოვით გაემგზავრება ჭიათურაში.

1926 წ. მარგანეცის წამოსაღებათ ფოთში შევა არა ნაკლებ 30 გემისა, რის გამოც ჰარიმანის მიერ მიღებულია უკვე ზომები ფოთის ნავთ სადგურის გაფართოებისა და ელევატორის მოსაწყობათ.

ამ თვის დამლევს ჰოლმანი ბრუნდება უკან ნიუ იორკში საიდანაც ნოემბერში გაემგზავრება საქართველოში ადგილობრივი მდგომარეობის გასაცნობათ.

კოლექტიური ხელშეკრულობა ჰარიმანსა და სამთო მადნო მუშების კავშირთან უკვე დადებულია.

ბ. მასხარაშვილი

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ღერბი

ÉCUSSON DE L'UNION SOVIÉTIQUE

Étoile rouge, marteau et faucille d'or sur continents rouges. Sur la banderolle liant les épis est la devise dans les six principales langues de l'Union.

პ. გელეიშვილის

წიგნიდან

პ. გელეიშვილს (ყარიბს) ცალკე წიგნად გამოუშვია წინად გაზეთში გამოქვეყნებული ფელეტონები. მოგვყავს ამ წიგნის ახლად დაწერილ წინასიტყვაობიდან რამოდენიმე ადგილი:

„საგარეო კრიზისის პერსპექტივაზე“

ნ. ჟორდანიას პერსპექტივას ბოლშევიკების «საგარეო კრიზისის» შესახებ ავტორი ასე აზასიათებს:

«მერე, თქვე დალოცვილებო, ამისთვის ღირდა 'პოლიტიკური პარტიის დაარსება? ამისთვის საკმაო იყო სანიტარული რაზმი დაგეარსებიათ და ისიც მას შემდეგ, როცა ნატვრა აგისრულდებოდათ და განწირული მტერი მოკვდებოდა და კომუნისტურ რუსეთზე გამარჯვებული ევროპის ბურჟუაზია მონობის უღელს მოგხსნიდათ...

კითხულობთ ნ. ჟორდანიას და «ცეკის» პოლიტიკური აზროვნების ასეთ შედევრებს და პირდაპირ გაკვირვებას ეძლევით, ვერ გაგიგიათ თუ ვისთან გაქვთ საქმე? ვინ არიან ეს ვაჟბატონები: ბრძოლის ცეცხლით აღგზნებული რევოლიუციონერები, თუ ავლაბრელი მკითხავი ქაბატო, რომელიც პურის მარცვლებზე მკითხაობს და თავისი კლიენტების მტერსა და ორგულს სიკვდილსა და დაღუპვას უქადის».

რატომ „ცდება“ ნ. ჟორდანია.

«ნოე ჟორდანიას შეცდომაში შეჰყავს ქართველი ხალხი.

გვინდა ვიფიქროთ, რომ ის ამას სჩადის სრულიად უნებლიეთ იმიტომ, რომ მას არავითარი წარმოდგენა არა აქვს იმის შესახებ, თუ რა ხდება საქართველოში.

ევროპის „სტაბილიზაცია“*

მაშ ერე, «ბრძოლის» ორგანოზით, ევროპის სტაბილიზაცია ხდება. ის მაგრდება და მტკიცდება ევროპაში, დემოკრატიული კლასები იმარჯვებენ და, თერმე ნუ იტყვით, ეს გამარჯვებული დემოკრატია ევროპისა დაჩოქებს კომუნისტებს და აღუდგენს საქართველოს ფორმალურ დემოკრატიას. აი ამ დასკვნით გამოითქმის «ბრძოლის» პოლიტიკური პერსპექტივა.

როგორც ვიცით, საერთაშორისო ომი გათავდა «ვერსალის ზავით». ანტანტამ ამ ზავში გამოხატა ძალთა ახალი განწყობილება, მან დამარცხებულ სახელმწიფოებს (გერმანიას და სხვებს) თავზე მოახვია ვალდებულებანი, მუხრუჭი შემოავლო მათ და ეკონომიური და პოლიტიკური წარმატების პირობები შეუბოჭა.

გამარჯვებულ მოკავშირეებს, რასაკვირველია, სურთ ის ნაციონალური დოვლათი, ის ეკონომიური ფუძე, რომელიც ჩანთქა ამ საერთაშორისო ომმა,—აანაღდებინოს და აანაზღაურებინოს დამარცხებულებს. ამ მიზანს ემსახურება ანტანტის სარეპარაციო ან საკონტრიბუციო პოლიტიკა.

მეორე მხრივ, ომით გამარჯვებული მოკავშირენი ფაქტიურათ დამარცხებული გამოვიდენ ამ საერთაშორისო კატასტროფიდან, ვინაიდგან არა თუ დამარცხებულების სამეურნეო—საეკონომიო ცხოვრება დაეცა და განიავდა, არამედ გამარჯვებულ ქვეყნებსაც ხამინელება დაატყდათ თავს. ეკონომიკა და ფინანსები ამ ქვეყნებისა დღესაც განიცდიან დამლითი პროცესს. მოკავშირეებმა გამარჯვება ხომ ამერიკის ოქროთი იყიდეს და აი დღეს ამერიკა ამ ვალის გადახდას მოითხოვს. მაგრამ ვალის გადახდის სიძნელეს ყველა გრძნობს და ამისთვის იყო რომ ზოგი გამოჩენილი ფინანსისტი, როგორც ევროპის ისე ამერიკის, ამტკიცებდა მოკავშირე სახელმწიფოთა პოლიტიკური ე. ი. სამხედრო ვალების ლიკვიდაციის საჭიროებას. მაგრამ უმთავრესი კრედიტორი, ამერიკა, თავის ბაჯაღლო ოქროს ხელს არ უშვებს და მის განაღდებას აუცილებლივ მოითხოვს. ეს განაღდება კი ძლიერ დიდ თანხებს თხოულობს, და რომ ის გამარჯვებულებმა შესძლონ, ამისთვის თავ და პირველად რეპარაციის საქმე უნდა მოწესრიგდეს ე. ი. დამარცხებულებიდან ზვედრი ფინანსები უნდა ჩაიჯიბონ.

საკითხი რეპარაციის გადაჭრისა, მისი მოწესრიგებისა ერთი მხრივ და მეორე მხრივ, საკითხი მოკავშირე სახელმწიფოების დავალიანებისა და მათ შორის გადახდისა უმნელეს პრობლემათ არის დღეს მიჩნეული.

ეს პრობლემა, რაც დრო გადის თან და თან რთულდება და მისი გადაჭრა თითქმის აღარ ხერხდება, ამიტომაც არის, რომ ამ მხრივ «ვერსალის ზავი» და მის მიერ შემუშავებული მოდუსები აერში აკიდებული არიან. (კანის, გენუის, ლოზანის, ააგის. ვაშინგტონის, ლონდონის და, უკანასკნელათ, ლოკარნოს კონფერენცია ამას ამტკიცებს (მაგრამ ლოკარნოზე შემდეგ). ამას კარგად გრძნობენ ამ ქვეყნის დღევანდელი მესვეურნი, ბურჟუაზიული კლასები და მათი მთავრობები, მათი ეკონომისტ—ფინანსისტები და ექსპერტები ოფლში იწურებიან, კონფერენციებს და კონგრესებს მრავლად იწვევენ. ერთი კაბინეტი მეორეს

ცვლის. სხვა და სხვა კურსი და სისტემა ამ საკითხისათვის არ ემურებათ მაგრამ დასკვნას მაინც ვერ აღწევენ—ქვეყნის დაწყნარება და ეკონომიური აღორძინება წინ ვერ მიდის.

ამიტომ თამამათ ითქმის, რომ ევროპა მოჯადოვებულ წრეში ეხსლართა და მისი გამოყვანა ამ წრიდან არ ძალუძთ იმ კლასებს, ვინც შექმნა ეს მდგომარეობა.

უსათუოდ ძალზე შეირყა ბურჟუაზიული სამყარო. დაირღვა ამ სამყაროს წონა სწორობა, მოიშალა მისი ეკონომიკა, რომელმაც ფინანსიურ-კრიზისამდე მიიყვანა მრავალი სახელმწიფოები. დიახ, დაეცა და განადგურდა ნაციონალური და საერთაშორისო საწარმოვო ძალები გაღატაკდა, მყიდველობითი უნარი დაკარგა მშრომელმა მასებმა. დაცემული წარმოება—უმუშევრობა ასი ათასობით და მილიონობით ხრონიკულ მოვლენათ იქცა.

აი სტატისტიკური ცნობაც:

1922 წ. საერთო რიცხვი გაღიცულებისა ევროპა (კონტინენტი) ინგლისში უდრის 2.867.000 კაცს.

ომის შემდეგ, გაპროლეტარებული მასსების რიცხვი ევროპაში და ინგლისში 92,9 მილიონია და ამერიკაში 30,5 მილ.

უმუშევართა რიცხვი 1922 წ. ევროპაში 7 მილიონი, ამერიკაში 3.800.000 მუშა.

ომის წინ 1914 წ. მთელი კაცობრიობის სიმდიდრე უდრიდა 1000 მილიარდ დოლარს, ომმა კი შეიწირა 350 მილიარდი დოლარი—ე. ი. მთელი ქონების ერთ მესამედზე მეტი.

ასეთივე კრიზისია თვით ომის თეატრის გარეშე მყოფ ამერიკაშიც. იმ ამერიკაში, რომელიც დღეს საერთაშორისო მევახშეა, და სადაც ოქროთი გატენილი სკივრები თან და თან იზრდება, მაგრამ ეს ოქრო უძრავათ—უქმად ხდევს და კაპიტალის ფუნქციას ვერ ასრულებს.

დიახ, საერთაშორისო სისხლის დაღვრამ, გამოწვეულმა კაპიტალისტურ კლასების ინტერესთა წინააღმდეგობით, ერთობ ბუდიდან ამოაგდო ბურჟუაზიული სამყაროს ეკონომიკა, მისი ძაფები გასწყვიტა და გამოუვალ ჩიხში მოამწყვდია.

ამერიკა, მართალია, ომის შემდეგაც ეშველება სესხით როგორც გამარჯვებულ მოკავშირეებს, ისე დამარცხებულ გერმანიას (დოუეს გეგმის მიხედვით) რათა ამ ქვეყნების განადგურებული ვალიუტა ფეხზე წამოაყენოს. მაგალითად, ინგლისი იღებს მისგან სესხს 300 მილ. დოლარს და ამით ამაგრებს სტერლინგის კურსს. მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში მის მრეწველობის კრიზისს და მილიონ ნახევარ უმუშევარს, რომლის შენახვა სახელმწიფოს აწევს თავს, ცხადია, რომ ეს გარემოება მლის ფინანსიურ წონასწორობას

საფრანგეთი 100 მილიონ დოლარს ღებულობს —, რაც ამაგრებს ფრანკის კურსს, მაგრამ ეხლა მას ეტყობა ძლიერი ტენდენცია დაქვეითებისა (რადგან ვერ მოგვარდა სესხის გადახდის საკითხი ამერიკასთან).

ფაშისტური იტალიაც ხომ ამერიკაში ნასესხი 50 მილ. დოლარით აწესრიგებს სახელმწიფო მეურნეობას. იტალიის ლირაც ამ სესხმა წამოაყენა ფეხზე — მაგრამ მისი წარმოების კრიზისი და უმუშაობა მაინც გრძელდება!

და ბოლოს გერმანეთიც ხომ დაეუსის პლანით იღებს სესხს ამერიკიდან, და ასერხებს თითქოს «ვალიუტის შექმნას».

დიახ, დაუძლურებული ევროპა დღეს ამერიკის კრედიტით ცხოვრობს, მაგრამ ვინ არ იცის რომ ამ კრედიტს გადახდა უნდა, გადახდას კი, საწარმოვო ძალების აღდგენა და განა შესძლებს ამას ევროპა??

თითქოს ერთი შეხედვით ევროპა ჩაება სამრეწველო აღორძინების საქმეში, მაგრამ სინამდვილე სხვას გვეუბნება. როგორ «სწყდება» გერმანეთის საკითხი? ჩვენ ვიცით რომ გერმანეთმა დაბოლოს მიიღო დაეუსის გეგმა; ამით მან მთელი თავის ეკონომიკა და სასიცოცხლო ძალები მოკავშირეების კონტროლის ქვეშ დააყენა— მათ ეკონომიურ და პოლიტიკურ მონათ იქცა. მას ჩამორთმეული აქვს მთელი რიგი ტერიტორიებისა მეტროპოლიაში და კოლონიებში და მისი ასპარეზი ვიწროა.

გერმანეთს ეჭირა ომამდე 542.622 ოთხ კუთხი მილი, მან დაკარგა ევროპაში 70.540 ოთხ კუთხი მილი, 13 პროც. მთელი ტერიტორიისა და 6.5 მილიონი მცხოვრები ე. ი. მთელი მცხოვრებლების 10 პროც. და ყველა თავის კოლონიები — 2.953.000 ოთხ კუთხი კილომეტრი და 12.3 მილიონი მცხოვრებით). გერმანეთს შეუძლია თავისი ნაციონალური პროდუქციით მხოლოდ შინაური ბაზარი დააკმაყოფილოს ე. ი. დაახლოებით იმის ნახევარი, ტერიტორიით და ასპარეზით, რაც ომის წინეთ ქონდა მას. არც ინგლისი, არც ამერიკა, და მით უფრო არც საფრანგეთი გერმანიის ნაწარმოებს თავიანთ ბაზარს არ დაუთმობენ და ამიტომ, თუ გერმანეთს ექსპორტი დიდათ ესაჭიროებოდა ომის წინა დროს, ომის შემდეგ ეს გაცილებით უფრო: გერმანეთის ნაციონალური ინდუსტრია რასაკვირველია ვერ ჩაეტევა თავის ეხლანდელ ნაციონალურ, ძლიერ შევიწროვებულ ფარგლებში (სხვათა შორის — გერმანეთის და საბჭოების სავაჭრო ხელშეკრულება ამ აუცილებლობის ფაქტით არის ნაკარნახევი ,მაგრამ ამაზე შემდეგ) გერმანეთს გარეთ გამოსვლა დასჭირდება, ამას მოითხოვს მისი სასიცოცხლო ინტერესები და აქ,მან ძალა უნებურათ უნდა დაარღვიოს სტატუსი, ამას ის ვერ ასცდება, ვერც ამერიკის სესხით, ვერც ინგლისის «პოლიტიკური სიმპატიით». ამ რიგათ გერმანეთის და საფრანგეთის მორიგების საქმე ვერ იქნება მტკიცე ნიადაგზე აშენებული თუ გინდ გერმანიამ, დღეს ლონე მიხდილმა საგარანტიო ხელშეკრულებას ხელი მოაწეროს და ხალხთა ლიგაშიც შევიდეს წევრათ, ეს იქნება მხოლოდ დროებითი ზავი «передышка».

ხოლო გერმანეთ — საფრანგეთის კონფლიკტი დაბადებს სხვა კონფლიქტებს აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპის მიწა — წყალზე. (ის კრიზისი, რომელიც ლოკარნოს შემდეგ დაიწყო გერმანეთში ამტკიცებს, რომ გერმანეთს ფაქტიურათ არ მიუღია ჯერ კიდევ ლოკარნოს «შემარიგებელი» ზაზი...)

დიახ, ევროპის წონასწორობის საკითხი ვერ არის გადაჭრილი და არც გადიჭრება, ვინაიდან კაპიტალიზმს აქვს თავისი კანონები, თავისი ლოღიკა. ის თავისი შინაგანი ძალით, დინამიკური პროცესით მიექანება თავის დაშლისკენ, კონფლიკტებისკენ და ომებისკენ.

დიახ, ევროპაში მაინც ყველგან ომისთვის ემზადებიან და აი ამერიკაც უკვე შეუდგა 3 მილიონიან არმიის შექმნას. ის ოფიციალურათ აცხადებს, რომ მას სურს არ ჩამორჩეს და გაასწროს კიდეც სხვა ქვეყნებს მილიტარისტული ორგანიზაციის გაძლიერებაში. ინგლის საფრანგეთი ხომ ეწყობა ამ მხრივ? მუსოლინის იტალიაც ხომ იარაღის ჩხარუნშია? და მომავალი ომი თავისი გრანდიოზობით და საშინელებით, რომელშიაც ქიმიური საშუალებები ძლიერ ფართოდ იქნებიან გამოყენებულნი, თითქმის განადგურებას უქადის მთელ კაცობრიობას.

რატომ ემზადებიან ასე გამალებული, მილიტარიზმის განმ-

*იხ. «ახ. საქართველო» № 13.

ეროვნული ბიბლიოთეკა



M. VANDERVELDE

ქართული პრესა

სიმონ ქვარიანის წერილიდან

ს. ქვარიანი სწერს ჟურნალ «ახალ გზაში» შემდეგს:

«რევოლიუციის რომანტიზმი მალე შეიცვალა ჩვენში კომუნისტური რეჟიმით, მთელი რუსეთის და ამიერკავკასიის ხალხთა და სახელმწიფოთა მართვა-გამგეობას ჩაუდგენ სათავეში რ კ ი ნ ი ს მარჯვენით, მ ა გ ა რ ხ ე რ ხ ე მ ლ ი ა ნ ი რევოლიუციონერები. იმათ ერთის დაკვრით გადასჭრეს კერძო საკუთრების ნასკვი, ათი ათასი წლობით გიმტკიცებული, ძალით ჩამოართვეს მემამულეებს მიწაწყალი, ტყეები, მინდვრები, ბოსტნები და ბაღები, შენობები მთელი ინვენტარით და გადასცეს გლეხებს, ჩამოართვეს ბურჟუებს მთელი ქონება: ქარხნები, ფაბრიკები, სახლები, საწყობები, მაღაზიები, მანქანები, საქონელი და გამოაცხადეს ხალხის, მუშის, პროლეტარიატის სახელმწიფოს საკუთრება». ამით დასცეს კაპიტალის უძლობელი ბატონობა და აღადგინეს რუსეთის ყოფილ იმპერიის ფარგლებში შრომის ხუფვა.

მეტად სამნიშვნელო მუშაობა გააჩაღეს თვით საქართველოს ფარგლებში ჩვენმა საბჭოთა ხელისუფლების ბელადებმა; მათ მიაქციეს მთავარი ყურადღება კოლექტიურ ვაჭრობა-მრეწველობის და მეტადრე სასოფლო მეურნეობის აღდგენას და აღორძინებას. სამეურნეო ტეხნიკა, აგრონომიული ცოდნის და საწარმოო იარაღ-მანქანების სახით და მელიორაცია სარწყავ არხების ჭაობათა დაშრობის, მდინარეთა კიდეების გამაგრების, გზების გაყვანის და ჰიდრო-ელექტროფიკაციის სახით; აი ის ორი დიადი ფუძე, რომლებზედაც დამყარებულია და აგებული გლეხთა სასოფლო მეურნეობა თვით სახელმწიფოს ნივთიერი და კეთილი დღეობა, და სწორეთ ამ ორი დიდი საქმის აღნაგებას ეს ოთხი წელია შეუდგენ მედგრად და გაბედულად ჩვენი მთავრობის მესვეურები».

გაზეთი «მუშა»

„ნოეს კიდობანის“ შესახებ

თბილისის გაზეთი «მუშა» სწერს (28. IX) შემდეგს:

„ნოეს კიდობანი“. ამ სახელით არის მონათლული პარიზში შეხიზნულ მენშევიკების ახალი ჟურნალი, რომელსაც თვით მენშევიკები თურმე “ბრძოლას„ უწოდებენ.

წერილი ეკუთვნის „ახალი საქართველოს“ რედაქტორს გრიგოლ ვეშაპელს.

ჩვენ, რასაკვირველია, ბევრ რამეში არ ვეთანხმებით „ახალი საქართველოს“ მწერლებს, მაგრამ გრიგოლ ვეშაპელის მახვილი კალამი მართლაც რომ ხშირათ კაკალ თვალში უმიზნებს მენშევიკების საქმე დაკარგულ „მოღვაწეებს“.

„ფალავანდები“ დალაგებულია შემდეგი რიგით: ნ.ჟორდანია, კ. წერეთელი, კ. ჩხეიძე, ე.გეგეჭკორი, ა. ჩხენკელი, ნ.რამიშვილი.

რატომ გაიხაჯნენ და აღარ დაერიდნენ ისინი „თავის მეწუხებას?“ რამ ააღებიათ კალამი მენშევიკების მქადაგებლებს?

ამაზე ვეშაპელი ასეთ პასუხს იძლევა:

„ვინაიდან ნ. ჟორდანიას, რამიშვილის და ჩხენკელის ხელთნაწერ ბარათებს ფასი ეკარგება საქართველოში, მათ უნდათ ბეჭდვითი სიტყვით ხვადონ საზღვარ გარეთელი ს.-დემოკრ. ბიუროს ჯგუფური ავტორიტეტის გამაგრება საქართველოსა და ევროპაში და მითი მოაგონონ ხალხს, რომ ყოფილი მთავრობა პარიზში კიდევ „მუშაობს“.

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ვეშაპელს, ოღონდ ისიც უნდა დაუმატოთ, რომ „ნოეს კიდოვანს“, რომელსაც აღარავითარი გავლენა აღარ აქვს ევროპის „გავლენიანი პარადებისათვის“ თავის დასანახვებლადაც სჭირდება ეს ჟურნალი.

ვითომ რაო და, „—შემოგვხედეთ, ჩვენ ვმუშაობთ საერთო საქმისათვის, ბოლშევიკებს ვებრძვით და ცოტაოდენი მოწყალება ჩვენთვისაც გვემეტებოდეთო“.

ნოე ჟორდანიას ყოველ წერილიდან ვრწმუნდებით ჩვენ ამ აზრის სინამდვილეში (? რედ.)

ნოე ჟორდანია სცდება. და ჩვენ გვგონია, რომ ის სრულიად შეგნებულად შეყავთ შეცდომაში ხწორეთ იმ ერთგულ «ამხანაგებს», რომლებიც აქ,საქართველოში, ჩინებულად გრძნობენ თავს საბჭოთა ხელისუფლების ქვეშ, მაგრამ ზოგი მომავლის შიშით, ზოგიც ძველი პურ-მარილის პატივისცემით, როცა «ჩეკას» თვალს დაარიდებენ, საქართველოს დიდ პატრიოტებად გამოდიან»...

არალეგალურ მენშევიკთა „ბრძოლაზე“

«ორიოდე სიტყვა ს. ს.-დ. მ. პარტიის ცეკასაც.

მას გზა ხსნილი ჰქონდეს, სწეროს, ამის წინააღმდეგ ვის რა ეთქმის?

მხოლოდ გავკადნიერდებით და ერთ რჩევას მის წევრებსაც მივსცემთ:

როცა ხიფათი რამ შეხვდეთ, თუ, ოდესმე მათ «ჩეკა»-მ ყურებში ხელი ჩასჭიდოს, ნუ ატირდებიან, ნუ მოყვებიან წუწუნს—ხხვებმა შეგვაცდინესო...

გვაკმარეთ, ბატონებო! ასეთმა «რევოლიუციონერებმა» საბოლოოდ მოკლეს ბრძოლის იდეა. მათ სულ ერთიანად წაბილწეს ის, რაც ასე ასულდგმულებდა ყოველი დროისა და ყველა ერების მებრძოლებს».

ემიგრაციის შესახებ

«რაც შეეხება ევროპის სხვა და სხვა ქალაქებში ათასობით გაფანტულ ქართველებს, ისინი დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნდენ თავის სამშობლოს, თუ მათ ქართველი ხალხის სამსახური უნდათ.

მათ ეძახის მშობელი ერი, მათ ეძახის ის საქართველო, რომლის სახელითაც ისინი მშიერ-მწყურვალები დაეხეტებიან ევროპის ქალაქების ქუჩებში. მათ უფლება არა აქვთ თავისი ძალ-ღონე, ცოდნა და გამოცდილება, ესე იგი ის დიდი კაპიტალი, რომელიც დღეს ასე ესაჭიროება განახლებულ საქართველოს, სადღაც ცრუ თავმოყვარეობის გულისთვის გაფლანგონ.

ისინი მაინც უნდა დაუბრუნდენ სამშობლო ქვეყანას. მათ ნუ ეშინიათ იმ სრულიად მეშჩანური მოსაზრებისა, რომელსაც ერთი მათგანი, ივანე კაჩუხაშვილი, « ა ლ ა ი ა ჯ ა რ ზ ე გ ა მ ო ს ვ ლ ი ს » შიშს ეძახის.

ქართველი ემიგრანტები, რა თქმა უნდა, ისინი, რომლებსაც ქართველი ხალხის გულის წყრომის არ ეშინიათ (და ასეთები კი, რამდენად ვიცით, მხოლოდ სამი-ოთხი თუ მოიპოვებიან ევროპის ემიგრანტებს შორის) დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნდენ ქართველ ხალხს. მას უნდა ამოუდგენ მხარში, უნდა ჰაეხმარონ მას უკეთესი მერმისის შესაქმნელად, ახალი ქვეყნის აშენების საქმეში...

ემიგრანტო ქართველებო!

თქვენ გეძახით ქართველი ხალხი! უსმინეთ მას, სანამ გვიან არ არის, დაუბრუნდით!»

ქრონიკა

პარიზის კოლონია

პარიზის საბჭოთა ქართულ კოლონიის წევრებად ჩაირიცხნენ: ჯ. მდივანი, ზუზუნი (ყოფ. მდივანი ძველი ქართული საზოგადოებისა), სოლ. წერეთელი, ბარამიძე.

L'ASSOCIATION DE LA PRESSE ÉTRANGÈRE

7 ნოემბერს პარიზში, ერმიტაჟის რესტორანში, შედგა უცხოელ ჟურნალისტთა ასოციაციის სადილი, რომელსაც დაესწრო საფრანგეთის განათლების მინისტრი ბ. დელბოსი. სხვა ჟურნალისტთა შორის სადილს დაესწრო ჩვენი გაზეთის რედაქტორი, რომელიც ამ ასოციაციის წევრი არის.

ნ. მიწიშვილი

დაინიშნა საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის გამგის მოადგილეთ.

საბჭოთა სომხეთის წლისთავი

30 ნოემბერს, საღ. 8 ნახ. ს., Salle Wagram—ში (ვაგრამის ავენიუ № 39 ბის) მოეწყობა საღამო სომხეთის გასაბჭოების 5 წლისთავის აღსანიშნავათ (კონცერტი და ხხდომა). ხხდომაზე ილაპარაკებენ სომხეთიდან ესლახან ჩამოსული მოღვაწენი.

ტკიცებაში, როგორც ამერიკა ისე ევროპა — იაპონია? რასაკვირველია, საერთაშორისო ბაზრის ხელში ჩასაგდებათ. ბაზარი — სფეროა ეს ის არის, რასაც ელტვის იმპერიალიზმი და რადგან ყველა სახელმწიფოებს სურთ თავის სფერო — ბაზარი და საექსპლოატაციო კოლონიები უფრო დიდი და კარგი იყოს, ცხადია აქ, მეტოქეობაც უფრო ინტენსიურია.

იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა ტენდენცია ეხლაც უკვე ნათლად სჩანს. ამერიკა მტკიცედ უპირდაპირდება აზიაში ინგლისს და იაპონიას. ის ვერ ითმენს ამ სახელმწიფოების მეტოქეობას წყნარ ოკეანეში. უმთავრესი ობიექტი შეჯახებისა, რასაკვირველია, ჩინეთის სახელმწიფოა იმ ბუნებრივი უხვი სიმდიდრით — რაც მის მიწა — წყალზე მოიპოვება.

იაპონიაც და ინგლისიც არ არიან გულზე ხელ დაკრეფილნი. უმთავრესათ იაპონია გააძლიერებული ენერგიით ემზადება ამერიკის საწინააღმდეგოთ.

ევროპაში კი, ამერიკა უპირდაპირდება ინგლისს და საფრანგეთს. თავის მხრივ, საფრანგეთი ინგლისს უპირდაპირდება გერმანეთის საკითხში და ხმელთა შუა ზღვაზე ბატონობის განმტკიცებაში — იტალიასაც.

ჩვენ ვიცით, რომ საწარმოო და ფინანსიური კაპიტალი თავის ნაციონალურ ზღუდეებში ვერ ეტევა და ამისთვის ის მიილტვის გ ა რ ე თ და ამ ნიადაგზე მოხდება სწორედ შეიარაღებული კონფლიკტები, რომელთაც ვერც ლიგა და ვერც «პაკტი» ვერ აგვაცილებს. აი საით მიექანება თანამედროვე ბურჟუაზიული ევროპა.

მაგრამ ეს მომავლის საქმე არი — იტყვის «ბრძოლა», — დიახ, ეს მომავლის უტყუარი ფაქტია, მაგრამ დღესაც ხომ არ არის დამშვიდებული ევროპა.

დღეს ყველამ იცის, რომ ევროპა — ამერიკის სახელმწიფოები უხვათ სარგებლობენ კოლონიებზე პროტექტორატით.

ამ პროტექტორატში გამოიხატება მეტროპოლიის მიერ კოლონიების ეკონომიური და პოლიტიკური დამონება და უსაზღვრო ექსპლოატაცია, ეს, რასაკვირველია ხდება «ცივილიზაციის» სახელით. (მაგალითად, ინგლისის კოლონიები თავის ტერიტორიის სივრცით 107 მეტია, ვიდრე თვით მეტროპოლია, მცხოვრებთა რიცხვი კი კოლონიებში 9 ჯერ მ ე ტ ი ა, ვიდრე, მეტროპოლიაში — სხვა ქვეყნების კოლონიებზე აქ, ზოგიერთ მოსაზრებებით არ შევჩერდებით)

და აი დღეს, გაბატონებულ მეტროპოლიებს უჯანყდება კოლონიები — ისინი მიილტვიან განთავისუფლებისკენ, დამოუკიდებლობისკენ და ამისთის აღმართეს ბრძოლის დროშა... გადაავლეთ თვალი ჩინეთის ნაციონალურ გამათავისუფლებელ მოძრაობას და ბრძოლას. გადაავლეთ თვალი აფრიკა აზიაში მკვიდრ ტომთა გამანთავისუფლებელ მოძრაობას, რომელიც ფარავს დღეს ყველა სამანდატო ტერიტორიებს.

ჯერ კიდევ არჭჯგათავებია ლიგას გასულ სეკტემბერში თავისი სხდომები, რომ ახლო აღმოსავლეთში წამოიჭრა მოსულის კითხვა. მოსულის ნავთის წყაროების ხელში ჩასაგდებათ ოსმალეთი და ინგლისი ერთმანეთს ეჯახებიან და დღესაც ეს კითხვა გადაუჭრელი და საბედისწეროა.

და ბოლოს დაგვრჩა ლოკარნოს გარანტიის პაკტი და «შემარიგებელი» ხაზი. გერმანეთის დელეგაციამ მოაწერა ხელი «ლოკარნოს ხავს». ამ ხელის მოწერით გერმანეთი, რასაკვირველია,კიდევ უფრო მარცხდება. და ამისთვის არის, რომ დღეს გერმანეთში დიდი პოლიტიკური კრიზისია, და ლ ო კ ა რ ნ ო ს პ ა კ ტ ი ს მ ი ღ ე ბ ა დიდ კითხვის ქვეშ სდგას.

ლოკარნოს საზეიმო კრება ჯერ კიდევ არ იყო გათავებული, რომ უცროვ საბერძნეთი და ბულგარეთი დაეჯახნენ ერთმანეთს და კინაღამ ომი გაჩაღდა; და ვინც იცნობს ბალკანეთის ყოფა ცხოვრებას, იმისთვის აშკარაა, რომ ომის საფრთხე აქ ყოველ წუთშია მოსალოდნელი და ლიგის კომბინაციები სრულიად ვერ ამოსწურავენ ამ საკითხს.

ახლა შევეხოთ საბჭოთა კავშირის პოლიტიკას ლოკარნოსადმი.

უდავოა, რომ დღეს ინგლისი, ცდილობს რა დაამყაროს «მშვიდობიანობა» ევროპის კონტინენტზე, ამავე დროს აწყობს ძალთა ახალ კომბინაციას, რათა საბჭ. კავშ. იზოლიაციაში მოაქციოს და გერმანიაც საბჭოთა საწინააღმდეგო კოალიციაში ჩააბას. რათ სჩადის ამას ინგლისი და მისი კონსერვატიული მთავრობა? — სპარსეთში, ავღანისტანში და ინდოეთში ინგლისი ვერ გრძნობს თავს კარგად: «კომუნისტები მიჯანყებენ ხალხს» - ო გაიძახის, და აი ინგლისიც ცდილობს საბჭოებს სამაგიერო გადაუხადოს; მაგრამ კითხვა ისმის, შესძლებს ინგლისი ანტი საბჭოთა კოალიციის შედგენას და დარაზმას? — და ამ მხრივ, სრულიად გადაწყვეტილ პასუხს იძლევა გერმანეთის და საბჭოების ესლახან დადებული სავაჭრო ხელშეკრულება.

ლოკარნო ვერსალის დამთავრებაა და ამით გერმანეთი სრული დამარცხებულია. მე 16 მუხლი და აღმოსავლეთის საგარანტიო ხელშეკრულების საკითხიც, რითაც ის იძულებულია იცნოს საფრანგეთი, როგორც დამცველი, პოლონეთთან და ჩეხოსლოვაკიასთან დამოკიდებულებაში, სავსებით ადასტურებს მის დამარცხების ფაკტს. მოკავშირეები, მართალია, შეპირდენ გერმანეთს ზოგიერთ რამეებს: კელნის ზონის დაცლას, რეინის ოლქის ოკუპაციის ვადის შემცირებას, საარის ოლქში საოკუპაციო რეჟიმის შემსუბუქებას — მაგრამ ეს კიდევ დაეუსის გეგმით იყო ნაგულისხმევი და ლოკარნო აქ არაფერ შუაშია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გერმანეთის და საბჭოების სავაჭრო ხელშეკრულება მეტად საყურადღებოა — ეს ფაკტი ამტკიცებს იმას, რომ გერმანეთს თავის სასიცოცხლო ეკონომიური ინტერესები უკარნახებენ, საბჭოთა კავშირთან მტკიცე მეგობრულ განწყობილებაში იყოს, რათა მან შესძლოს თავისი ნაციონალური წარმოების განვითარება.

მეორე მხრივ, თვით საბჭოთა კავშირი ამ სავაჭრო ხელშეკრულობით, ეკონომიური და პოლიტიკური თვალთახედვის ისრით — ბევრს იგებს და ესეც უდაო გამარჯვებაა საერთაშორისო სფეროში; ამ ფაკტით ჩემბერლენის პოლიტიკა, შუაზე წყდება, და გერმანეთის და საბჭოების თანამშრომლობა, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, მალაში რჩება.,

ამავე დროს საბჭოების მოსაზღვრე სახელმწიფოები: პოლონეთი, ლიტვა, ლატვია და სხვა ესენი, ლოკარნოს შემდეგ რწმუნდებიან, რომ დიდი სახელმწიფოები მათ თავიანთ ბრმა იარაღათ სთვლიან—და საჭიროების დროს ადვილათ სტოვებენ ალალ ბედზე; ამით აიხსნება ის ფაკტი, რომ პოლონეთი, უმთავრესი კოზირი დიდი სახელმწიფოებისა, ანტისაბჭოთა პოლიტიკურ ინტრიგის შემქმნის მაგიერ, საგარეო პოლიტიკის კურსის შეცვლას იწყებს, საბჭოებთან დაახლოვებას აცხადებს. ვიმეორებთ, ასეთ დაახლოების გზას ადგებიან პოლონეთის შემდეგ სხვა პატარა მოსაზღვრე სახელმწიფონიც. ამით საბჭოები მოიგებს და ლიმიტროფები კიდევ უფრო მეტათ.

ლოკარნოს შემდეგ, ამეთი ტენდენცია გადაჯგუფებისა უკვე ნათლათ სჩანს.

ამის შემდეგ შეუძლებელია იმის თქმა, რომ საბჭ. კავშ. «ევროპის სტაბილიზაციით» იზოლიაციაში მოხვდება. არა, ბატონებო «ბრძოლის» რედაკციიდან, ეს ნაყოფია თქვენი ავათ მყოფური ოცნებისა და ეწინააღმდეგება სინამდვილეს და ფაქტების გაგებას.

თქვენი ტრაგიზმი იმაში მდგომარეობს, რომ თქვენ გამოდიხართ სუბიექტიურათ თქვენი სურვილების გრძნობიდან და აშენებთ ამ სურვილებზე ხელოვნურათ «ფაქტებს და პერსპექტივებს». ეს ხელოვნური ზუზულა, «რასაკვირველია» ვერ უძლებს ვერავითარ საღ კრიტიკას.

მაგრამ «ბრძოლას» დიდი იმედი აქვს ევროპის დემოკრატიული კლასებისა. ეს კლასები გაიმარჯვებსო, ამბობს ის, და მაშასადამე მოკავშირეთ გაუხდება «ბრძოლას» და კომუნისტებს დაამარცხებსო! უნდა ითქვას, რომ დემოკრატია დიდი მეყვარებული ყავს ამ ხალხს. მაგრამ აქ საკითხია, რომელ დემოკრატიაზეა ლაპარაკი? ისტორიამ იცის პირველყოფ. დემოკრატია, საშუალო საუკუნების დემოკრატია, და თანამედროვე პარლამენტარული ანუ ფორმალური დემოკრატია. თანამედროვე ფორმალურმა დემოკრატიამ თავისი დასაწყისი მიიღო დიდი საფრანგეთის რევოლიუციით—აბსოლიუტიზმი დაამარცხა მესამე წოდებამ და აღმართა პარლამენტარულ დემოკრატიის დროშა. მხოლოთ სოციალური უთანასწორობა, სიმდიდრე—სიღატაკე, ერთის გაყვლეფა და მეორეს გამდიდრება, ამ პოლიტიკურ დემოკრატიის სოციალურ ფუძეთ დარჩა.

თანამედროვე ევროპა—ამერიკას მართავს ეს ფორმალური დემოკრატია—აი სწორეთ ამ მართველმა ევროპამ, და მისმა ფორმალურმა დემოკრატიამ იცნო საბჭოთა რუსეთი და გააბა მასთან ეკონომიური და პოლიტიკური კავშირი.

ამ ფორმალურ დემოკრატიას ოპოზიცია ყავს, რომელიც მედგრათ ებრძვის მას და საბოლოო ანგარიშით დაამარცხებს კიდეც მას. ეს გახლავთ ჭეშმარიტი სოციალური დემოკრატია, ეს არის ევროპა — ამერიკის მშრომელი დემოკრატია და მისი ავანგარდი, მუშათა კლასი, პროლეტარიატი. აი ამ ძალამ ჭეშმარიტმა პროლეტარულმა დემოკრატიამ, სხვა თანასწორ პირობებთან ერთათ, აიძულა გაბატონებული კლასები და მათი პოლიტიკური ორგანო— პარლამენტარული დემოკრატია ეცნო რუსეთის საბჭოები.

აი ეს ძალა არის ის, რომელიც ასე ენერგიულათ ექომაგება და ნებას და საშუალებას არ აძლევს ბურჟუაზიულ კლასებს აგრესიული გამოსვლები გააკეთონ საბჭოების წინააღმდეგ. დიახ, ევროპა ინგლისის მუშათა კლასი მედგრათ იცავს საბჭოებს და ეხლა ვიკითხოთ, რომელ დემოკრატიულ კლასზე ლაპარაკობს «ბრძოლა», რომელიც მას მიემხრობოდა ბოლშევიკების ჩამოგდებაში?

ფორმალური დემოკრატია მათ ჩამოგდებას ვერ მოახერხებს. პროლეტარული დემოკრატია კი ბოლშევიკებს იცავს, მაშ ვინ არის თქვენი მოკავშირე? დიოგენის ფარნით რომ ეძებოთ, თქვენ რეალურ მოკავშირეებს, ევროპაში ვერსად ნახავთ.

«ბრძოლის» პუბლიცისტთა საუბედუროთ სტაბილიზაცია საბჭოთა კავშირში, რუსეთ—საქართველოში ხდება, ხოლო მათ მიერ შეყვარებული ევროპა თუ რაიმე პროცესს განიცდის,—ეს პროცესი უფრო «დესტაბილიზაციით» შეიძლება მოინათლოს.

ალფესი ხელაძე.

Paris. — Imprimerie M. Berstein, 3, Impasse Crozatier (12e) R. C. (Seine) 167.650

Le Gérant : L. BAR.